განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 13.11.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 25.11.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მცირე ბიზნესის მართვა
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი/0413.2.4
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (2012 წლის 8 ნოემბერი. №624; 2018 წლის 28 ნოემბერი, №174 პირობითი აკრედიტაცია 1 წლით)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ლობჟანიძე, თსუ, საქართველო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ჭინჭარაშვილი, საქართველოს რკინიგზა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა გიორგაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტი საქართველო,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ,,მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2010 – 2011 სასწავლო წლიდან (აკრედიტაციის რეჟიმში - 2012 წლის 8 ნოემბერი. №624). აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებას, ხორციელდება ქართულ ენაზე და მოიცავს 120 კრედიტს.

2018 წელს პროგრამაზე სააკრედიტაციო განაცხადი წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს და მიიღო პირობითი აკრედიტაცია ერთი წლის ვადით (აკრედიტაციის გადაწყვეტილება - 28.11. 2018 წ. №174). აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის ვადა გადის 2019 წლის 28 ნოემბერს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2019 წლის 8 ნოემბერს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების N1073 საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომლის მიზანიც წარმოადგენდა სსიპ-შოთა მესხია ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტაციას ვიზიტის განხორციელება. აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 13 ნოემბერს. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის სტანდარტი შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეესაბამება, ხოლო მეორე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს. 2018 წლის ექსპერტთა დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები დაწესებულების მიერ შესრულებულია.

- **რეკომენდაციები**

  - კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ რელევანტური ცოდნის და გაგების დემონსტრირება **სტრატეგიისა და ლიდერობის**, **ორგანიზაციების**, **გარე გარემოს,** რომელშიც ფუნქციონირებენ ეს ორგანიზაციები და იმის შესახებ, თუ როგორ

იმართებიან **(მენეჯმენტი) ორგანიზაციები**. სწავლის შდეგეგებში კონკრეტულად უნდა აისახოს ის, თუ როგორ შეძლებენ პროგრამის კურსდამთავრებულები თავიანთი ცოდნის და პრატიკული უნარების დემონსტრირებას ამ ოთხ ძირითადი სფეროში;

- სწავლების მეთოდები დაკავშირებული უნდა იყოს სწავლის შედეგებთან.

- საჭიროა გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა;

- ვინაიდან ფინანსური აღრიცხვა არის მმართველობითი აღრიცხვის წინაპირობა, მიზანშეწონილად ვთვლით ძირითად სასწავლო კურსებში დაემატოს აღნიშნული სასწავლო კურსი. მითუმეტეს, რომ პროგარამაზე ჩარიცხვის უფლებით სარგებლობენ არასპეციალისტები, რომელთაც გაუჭირდებათ, წინაპირობის გარეშე, აღნიშნული საგანის შეწავლა;

- სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია სილაბუსის ავტორის მიერ მომზადებული რიდერი. მიზანშეწონილია რიდერთან ერთად ასევე შეთავაზებული იყოს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რადგან პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა: ინგლისური ენის B2

- წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად წარმოადგენენ სახელმძღვანელოებს, ინტერნეტწყაროებსა და მონოგრაფიებს. სამაგისტრო კვლევა კი ძირითადად უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო ხასიათის სტატიებსა და კვლევით ნაშრომებს. ზოგიერთ ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებულია ვიკიპედია, რომელიც არ შეიძლება ასევე სამეცნიერო წყაროდ იყოს ჩაითვალოს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-კურსდამთავრებულების სურვილია მცირე ბიზნესის სამაგისტრო პროგრამაში იყოს მეტი არჩევითი საგანი, მათ შორის ფსიქოლოგია.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები: ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ფაკულტეტზე არჩეულ იქნა უცხოენოვანი აკადემიური პერსონალი საერთაშორისო გამოცდილებით. გაფორმდა მემორანდუმი არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ახალგაზრდული ინიციატივა დემოკრატიისათვის", რომელიც ორიენტირებულია ახალგაზრდების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებასა და საზღვარგარეთ სხვადასხვა ახლგაზრდულ პროექტებში ჩართულობის კუთხით, *ასევე* გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მობილობაზე; შემუშავებულ იქნა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; პროგრამის სტრუქტურაში და სასწავლო კურსების ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა მცირე ბიზნესის თავისებურება და სპეციფიკა (გათვალისწინებულ იქნა ახალი სასწავლო კურსები, მოდიფიცრდა სილაბუსები); განახლდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა; სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა განახლდა და შეივსო უახლესი, თანამედროვე ქართული და უცხოური წიგნებით; ბიბლიოთეკაში თავმოყრილია ელექტრონული სახელმძღვანელოები, რომლებთანაც წვდომა შეუზღუდავია სტუდენტებისთვის; სასწავლო უნივერსიტეტს წვდომა აქვს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან (Scopus, Mendeley); მოდიფიცირდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; სამაგისტრო ნაშრომების თემატიკები განისაზღვრა კვალიფიკაციის შესაბამისად; აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლერების, სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან და უწყვეტი განათლების ცენტრთან ერთად მუდმივად ახორციელებს სხვადსხვა ტიპის პროექტებს, გადამზადების ტრენინგებს, სემინარებს, შეხვედრებსა და ვორქშოფებს; სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო პროექტების STAR-ის, DARE-სა და INTEGRITY-ის ფარგლებში 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში, ზემოაღნიშნული პროექტების მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით ჩატარებულია ტრენინგები, ვორქშოფები, კონფერენციები; სასწავლო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, სტუდენტები ჩართული არიან ზაფხულისა და ზამთრის სკოლის

ფარგლებში ბლოკ-სემინარებში, რომლებიც ტარდება უცხოეთიდან მოწვეული და საქართველოს წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორების მონაწილეობით, შეიქმნა რიდერები; გაიზარდა სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით პროექტებში ჩართულობა; საგანმანთლებლო პროგრამა გაძლიერებულ იქნა კვლევის უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგამის მიზანია: „მცირე ბიზნესის სფეროსათვის მოამზადოს მცირე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კადრები, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანა-თლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ მცირე ბიზნესის მართვის ღრმა და სისტემური ცოდნა, ახალი იდეების შემუშავების, ცალკეული პრობლემების გადაჭრისათვის ორიგინალური გზების დასახვის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი“. პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან. სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული Erasmus+ -ის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდის საერთაშორისო პროექტებში (LIGAMUS, MEGO, DEMETRE, I-KNOW) და აქტიურად იყენებს ამ შესაძლებლობას პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის. დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები პორტუგალიის, პოლონეთის, ჩეხეთის უნივერსიტეტებთან სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლის თაობაზე. ამ კომპონენტის გაძლიერების მიზნით დაწესებულება უფასოდ სთავაზობს დაინტერესებულ მხარეებს ინგლისური ენის კურსებს. საგანამანათლებლო პროგრამის მიზნების განსაზღვრისას გათვალსიწინებულ იქნა რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამის შემუშავებამდე ჩატარდა რეგიონული შრომის ბაზრის კვლევა. გამოკითხულ იქნა ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის და სენაკის მუნიციპალიტეტბში მოქმედი ბანკებისა

და მისო-ების ფილიალები, ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული მცირე კომპანიები (სასტუმროები, კვების ობიექტები და ა.შ.), აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების კომპანიები, რეგიონში მომუშავე სხვა საწარმოები და ინდმეწარმე პირები. კითხვარები იყო ღია და დახურული ფორმის. კვლევა ჩატარდა დაწესებულების ძალებით და გათვალისწინებულ იქნა რეგიონის სპეციფიკა და ასევე რეგიონის განივითარების სტრატეგიის მიმართულებები. კვლევამ გამოავლინა კვალიფიციური კადრების მნიშვნელოვანი დეფიციტი რეგიონის მასშტაბით, რომლის დაძლევასაც უნდა მოემსახუროს აღნიშნული საგანამანათლებლო პროგრამა. პროგრამის მიზნები სრულადაა გაზიარებული დაინტერესებული მხარეების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ,,მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი; ○ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების შედეგები; ○ ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და თავისი შინაარსით უზრუნველყოფს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრულ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის აუცილებელ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამას თან ერთვის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც თითეული სწავლის შედეგი დაკავშირებულია კოკრეტულ სასწავლო კურსთან ან კურსებთან. ასევე დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა. გეგმის მიხედვით სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი ,,საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად. საგანმანთლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასება ეფუძნება იმ სასწავლო კურსების შეფასებას, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. *საგანმანათლებლო* პროგრამის სწავლის შედეგების შესრულების ინდიკატორად შერჩეულია რამდენიმე სასწავლო კომპონენტი. განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები თითოეული საწავლო კომპონენტისთვის. შეფასების პირდაპირი მტკიცებულების პარალელურად ხორციელდება არაპირდაპირი შეფასება: სასწავლო კურსის ქულები, დასაქმების მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა რაოდენობა, კითხვარები სტუდენტებისათვის, დამსაქმებლებისთვის, ჩართული პირებისთვის (აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა), კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) საფუძველზე

შესაძლებელია შეფასდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხი; სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსით გათვალისწინებულ შედეგებთან; აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პრაქტიკოსი სპეციალისტის დარგობრივი ცოდნა და პედაგოგიური უნარები; სტუდენტების მომზადების დონე საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადობა. ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადია, რაც ართულებს მათს გაზომვადობას. EQUAL-ის (The European Quality Link) სტანდარტებით, ბიზნესის ადმინსიტრირების და მენეჯმენტის მიმართულებით კვალიფიკაციის მიმნიჭებელმა საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისა და მენეჯმენტის ფართო, ანალიტიკური და ინტეგრირებული სწავლება. კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ რელევანტური ცოდნის და გაგების დემონსტრირება **სტრატეგიისა და ლიდერობის**, **ორგანიზაციების**, **გარე გარემოს,** რომელშიც ფუნქციონირებენ ეს ორგანიზაციები და იმის შესახებ, თუ როგორ იმართებიან **(მენეჯმენტი) ეს ორგანიზაციები**. სწავლის შდეგეგებში უნდა აისახოს ის, თუ როგორ შეძლებენ პროგრამის კურსდამთავრებულები თავიანთი ცოდნის და პრატიკული უნარების დემონსტრირებას ამ ოთხ ძირითადი სფეროში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ,,მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფაკულტეტის და სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურებთან ○ ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი“ ○ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 03 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,შეფასების მეთოდოლოგია“ ○ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
რეკომენდაციები: კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ რელევანტური ცოდნის და გაგების დემონსტრირება **სტრატეგიისა და ლიდერობის**, **ორგანიზაციების**, **გარე გარემოს,** რომელშიც ფუნქციონირებენ ეს ორგანიზაციები და იმის შესახებ, თუ როგორ იმართებიან **(მენეჯმენტი)ორგანიზაციები**. სწავლის შდეგეგებში კონკრეტულად უნდა აისახოს ის, თუ როგორ შეძლებენ პროგრამის კურსდამთავრებულები თავიანთი ცოდნის და პრატიკული

უნარების დემონსტრირებას ამ ოთხ ძირითადი სფეროში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები (მ.შ. ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში) შედეგების საფუძველზე. მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი. პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (საერთაშორისო აღიარებული ორგანიზაციების მიერ გაცემული) ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება, ან ფლობს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის მიერ გაცემულ B2 (ან უფრო მაღალი) დონის სერტიფიკატს. საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე, მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. სწავლის მსურველთა უკეთ ინფორმირების მიზნით ყოველწლიურად ტარდება ღია კარის დღეები, იბეჭდება ფლაიერები, სტუდენტებისთვის ეწყობა პრეზენტაციები და ტარდება სხვადასხვა სამოტივაციო ხასიათის ღონისძიებები. სტუდენტებისა და მობილობით სარგებლობის მსურველთათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა შესაბამისი ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი,

- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 01 აგვისტოს №31 დადგენილებით დამტკიცებული ,,მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარი, სხვა საინფორმაციო საშუალებები, სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

,შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დადგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობას იღებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კარიერის განვითარების

ცენტრი, შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას და ეფუძნება დაინტერესებული მხარეების (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეების) კვლევის შედეგებს.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამაში, კურსები ლოგიკური თანმიმდევრობითაა განაწილებული, ქრონოლოგიური წყობა დაცულია შემდეგი სახით:

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

საავლდებულო სასწავლო კურსებს 108 კრედიტი:

საწარმოო პრაქტიკის 10 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი.

არჩევითი საგნების 12 კრედიტს.

კომპონენტების გავლის თანმიმდევრობა დაცულია მარტივიდან რთულისკენ. საგანმანათლებლო პროგრამითა და კურსის სილაბუსით გათვალისწინებული წინაპირობის შესრულებაა საფუძველი მომდევნო კურსის გაგრძელების. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები არის ერთსემესტრიანი და მათი სპეციფიკის მიხედვით ითვალისწინებს კრედიტების შესაბამის რაოდენობას, ერთი კრედიტის მოცულობა 25 საათი. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS-ის კრედიტს, წელიწადში 60 ECTS-ის კრედიტს. თითოეული სემესტრი დაგეგმილია 20 კვირაზე შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს ორ წელს.

სწავლების მეთოდები დაკავშირებული უნდა იყოს სწავლის შედეგებთან. საჭიროა გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა.

ვინაიდან ფინანსური აღრიცხვა არის მმართველობითი აღრიცხვის წინაპირობა, მიზანშეწონილად ვთვლით ძირითად სასწავლო კურსებში დაემატოს აღნიშნული სასწავლო კურსი. მითუმეტეს, რომ პროგარამაზე ჩარიცხვის უფლებით სარგებლობენ არასპეციალისტები, რომელთაც გაუჭირდება ამ საგანის შეწავლა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 03 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ○ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 03 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ ○ ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №41 დადგენილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები, ფაკულტეტის საბჭოს ოქმი. ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017 წლის 23 სექტემბრის № 01-10/510 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი კვლევის შედეგების ანალიზი, რეკომენდაციები. ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის 14 დეკემბრის № 01-10/810 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი კვლევის შედეგების ანალიზი, რეკომენდაციები. ○ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 01 აგვისტოს № 31 დადგენილებით დამტკიცებული ,,მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
რეკომენდაციები: სწავლების მეთოდები დაკავშირებული უნდა იყოს სწავლის შედეგებთან. საჭიროა გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა; ვინაიდან ფინანსური აღრიცხვა არის მმართველობითი აღრიცხვის წინაპირობა, მიზანშეწონილად ვთვლით ძირითად სასწავლო კურსებში დაემატოს აღნიშნული სასწავლო კურსი. მითუმეტეს, რომ პროგარამაზე ჩარიცხვის უფლებით სარგებლობენ არასპეციალისტები, რომელთაც გაუჭირდებათ, წინაპირობის გარეშე, აღნიშნული საგანის შეწავლა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების ერთობლიობა, კრედიტების რაოდენობა, წარმოდგენილი განაწილება ემსახურება სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით კრედიტების რაოდენობა განსხვავებულია და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები (რომელიც თავის მხრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს), შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები და სხვა. პროგრამის შემადგენელი კომპონენტების კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ლოგიკურ ბმაშია ამავე კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული ძირითადი და დამხმარე და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა ბეჭდური და ელექტრული ვერსიებით, უახლესი კვლევის შედეგები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. 2011 წლიდან უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–

კატალოგის (OPAC) სერვისი; ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე; http://search.epnet.com/; http://journals.cambridge.org/ Cambridge university press. Elgaronline, Royal Society Publishing; Sage Journals; ScienceDirect; BioOne research evolved; IMF Elibrary, Scopus, eDu სასწავლო უნივერსიტეტს წვდომა აქვს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან (Scopus, Mendeley). სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია სილაბუსის ავტორის მიერ მომზადებული რიდერი. მიზანშეწონილია რიდერთან ერთად ასევე შეთავაზებული იყოს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რადგან პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა: ინგლისური ენის B2 დონე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან (Scopus, Mendeley)წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტი- სამეცნიერო ტექნიკური პროდუქციის გადაცემაზე ხელშეკრულება # 2018/48, პროგრამა; ○ საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარების წესი; ○ ინფორმაცია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების, ინსტრუქციების, ჩატარებული შეხვედრების, კონსულტაციებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ; ○ ბიბლიოთეკის დებულება; ○ ა(ა)იპ ,,საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საბიბლიოთეკო ქსელის კონსორციუმ 2017“ გაფორმებული ხელშეკრულება; ○ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები ლიტერატურის შესყიდვებთან დაკავშირებით; ○ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია სილაბუსის ავტორის მიერ მომზადებული რიდერი. მიზანშეწონილია რიდერთან ერთად ასევე შეთავაზებული იყოს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რადგან პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა: ინგლისური ენის B2
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას. პროგრამის ფარგლებში კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტი შეადგენს 40 კრედიტს, სადაც 10 კრედიტი ეთმობა უშუალოდ პრაქტიკას და უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, მიღებული თეორიული ცოდნის რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული ასპექტების შერწყმასა და დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილების მიღებას, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას. სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: ,,ვითიბი ბანკის ზუგდიდის ფილიალი'', "თიბისი ბანკის №1 სერვის ცენტრი" , აუდიტორული კომპანია ,,ფინსერვისი'', შპს ,,ცერერა'', აუდიტორული კომპანია შპს ,,ჯ.ბ. აუდიტი''.

კვლევითი უნარების განვითარებას უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული 6 კრედიტის მოცულობით კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების გამოყენების მიზნით შეთავაზებული სასწავლო კურსი ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები" და 30 კრედიტის მოცულობით სამაგისტრო ნაშრომის შემუშავება და დაცვა. სტუდენტი იღრმავებს კვლევის კომპონენტს, რაც მას აძლევს საშუალებას კველვით საქმიანობაში განსაზღვროს სწავლის შემდგომი კვლევის საჭიროებები.

სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო განყოფილების პრიორიტეტია აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის ამაღლება, სწავლისა და კვლევის ინტეგრაციის ხელშეწყობა, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება.

სამეცნიერო განყოფილება ახორციელებს შემდეგ აქტივობებს; კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის განვითარების მიზნით კვლევით ობიქტებთან აფორმებს მემორანდუმებს/ხელშეკრულებებს. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო ბაზებზე წვდომის უზრუნველსაყოფად პერიოდულად ატარებს ტრენინგებს. კვლევითი კომპონენტის სწავლასთან ინტეგრირების პროცესის უზრუნველსაყოფად ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას საუნივერსიტეტო ერთობლივ კვლევით პროექტებში. სამეცნიერო განყოფილება ახორციელებს ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვასა და მათი ხელშეწყობის ღონისძიებებს, საუკეთესო ნაშრომები იბეჭდება სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებულში. სტუდენტი მაგისტრანტების საკვლევი თემატიკის შერჩევა ხდება რეგიონის პრიორიტეტული განვითარების მიმართულებების გათვალისწინებით. პრიორიტეტულია მათი აქტიური ჩართულობა რეგიონისა და სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით პროექტებში. უნივერსიტეტში საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართული არიან აკადემიურ პერსონალთან ერთად სამეცნიერო კვლევაში და ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომები ქვეყნდება საუნივერსიტეტო შრომათა კრებულებში. მაგისტრანტების მონაწილეობის ორგანიზება საერთაშორისო კონფერენციებში, მაგისტრანტთა კვლევის შედეგების პოპულარიზაცია, საუკეთესო სტუდენტური ნაშრომების გამოქვეყნება სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებულში. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფის ხარჯები, რაც გულისხმობს: შიდა საუნივერსიტეტი და საერთაშოერისო კონფერენციების მოწყობას, შრომათა კრებულების გამოქვეყნებას, მიზნობრივ შიდა და საზღვარგარეთ სამივლინებო თანხებს, მონოგრაფიების, დამხმარე სახელმძღვანელოების, სამეცნიერო პროექტების თანადაფინანსებას, სტუდენტთათვის მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების/ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა.

სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიმართ მოთხოვნები. სასწავლო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, სტუდენტები ჩართული არიან ზაფხულისა და ზამთრის სკოლის ფარგლებში ბლოკ-სემინარებში, რომელიც ტარდება უცხოეთიდან და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოწვეული პროფესორების მონაწილეობით, შექმნილია რიდერები, მიღებული გამოცდილება და მასალები სტუდენტს საშუალებას აძლევს გამოიყენოს სამეცნიერო საკონფერენციო თემების მომზადებაში.

სასწავლო უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის,

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებით სტუდენტებს ეძლევათ საშუალება იყვნენ ჩართულნი კვლევით საქმიანებობებში, მონაწილეობენ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებსა და ცალკეულ ტრენინგ-სემინარებში, ზაფხულისა და ზამთრის სკოლის ფარგლებში განხორციელებული ვორქშოფები, საჯარო ლექციები, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები. სტუდენტთა კვლევის წახასილების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის შრომების კრებულში სტუდენტების სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება, სტუდენტთა ჩართვა პროფესორის მიერ განხორციელებულ კვლევის პროცესში და კვლევის შედეგების გამოქვეყნება თანაავტორობით. წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად წარმოადგენენ სახელმძღვანელოებს და მონოგრაფიებს. სამაგისტრო კვლევა კი ძირითადად უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო ხასიათის სტატიებსა კვლევით ნაშრომებს. ზოგიერთ ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებულია ვიკიპედია, რომელიც არ შეიძლება ასევე სამეცნიერო წყაროდ ჩაითვალოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამაში ადგილობრივი დამსაქმებლები, პრაქტიკოსები იყვნენ ჩართულები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 01 აგვისტოს № 31 დადგენილებით დამტკიცებული ,,მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ○ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 03 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,, სამეცნიერო განყოფილების დებულება“ ○ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 03 იანვრის №02 დადგენილებით შემუშავებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 04 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების, დაფინანსებისა და განკარგვის წესი“ ○ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 03 იანვრის №02 დადგენილებით შემუშავებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 04 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ზაფხულის/ ზამთრის სკოლის ჩატარების წესი“ ○ მემორანდუმები ○ კონფერენციის მასალები. ○ სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია ○ სამეცნიერო განყოფილების სტრატეგიული გეგმა ○ სასწავლო უნივერსიტეტში კვლევითი პროექტების გამოცხადებისა და დაფინანსების წესი

- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მასალები
- სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება
- დასაქმების მაჩვენებელი;
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები საერთაშორისო და საქართველოს სასწავლო დაწესებულებებთან;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად წარმოადგენენ სახელმძღვანელოებს, ინტერნეტწყაროებსა და მონოგრაფიებს. სამაგისტრო კვლევა კი ძირითადად უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო ხასიათის სტატიებსა და კვლევით ნაშრომებს. ზოგიერთ ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებულია ვიკიპედია, რომელიც არ შეიძლება ასევე სამეცნიერო წყაროდ იყოს ჩაითვალოს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნები, მცირე ბიზნესის სფეროსათვის მოამზადოს მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კადრები, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ მცირე ბიზნესის მართვის ღრმა და სისტემური ცოდნა, ახალი იდეების შემუშავების, ცალკეული პრობლემების გადაჭრისათვის ორიგინალური გზების დასახვის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდებით სრულიად მიღწევადი და დაძლევადია. სწავლის და სწავლების ინოვაციური მეთოდები და სწავლების მეთოდოლოგია სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. სათანადო საინფორმაციო ტექნოლოგიები აბსოლუტურად ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტში.

სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული მეთოდების კატალოგი. სწავლების შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისათვის, ცოდნის გადაცემა წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, პრაქტიკული სწავლება, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. სწავლება სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა კონკრეტული მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება

სწავლის შედეგების მიღწევის დონე. სწავლება სწავლის და კვლევის პროცესში მეთოდები და აქტივობები ერთმანეთს ავსებენ. პროფესორი შეიძლება იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამოდენიმე მეთოდს ან ნემისმიერ სხვა მეთოდს და აქტივობას კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები და აქტივობები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. ვერიფიკაციაზე დაფუძნებული სწავლება-სწავლის მეთოდების სრულყოფის მიზნით შემუშვებულია მეთოდების სახელმძღვანელო (STAR_ის ფარგლებში შემუშავებული სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელოს საფუძველზე), რომელიც ითვალისწინებს სწავლებისას: პრობლემაზე დაფუძნებული, აღმოჩენებით სწავლების, დავალებაზე დაფუძნებული, პროექტზე დაფუძნებული, კოლაბორაციული მეთოდის გამოყენებას სწავლების პროცესში. რომლებიც აისახება სილაბუსებსა და ლექციის გეგმებში (ეს უკანასკნელი საპილოტეა). სწავლისა და სწავლების მეთოდების მუდმივი დახვეწისა და სტუდენტზე ორიენტირბეული მეთოდების დანერგვის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიტიკის (საზღვრისპირა რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემსახურება იძულებით გადაადგილებულ პირებს აფხაზეთიდან) გამო, ინერგება სწავლების (blendedlearning) შერეული ტიპის ელექტრონული სწავლება, რომლის მიზნებისთვის გამოყენებული იქნება Moodleპალტფორმა სასწავლო დანიშნულებით, რომლის საშუალებით სტუდენტებს ხელმისაწვდომი გაუხდებათ ლექციის გეგმები, სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდები და მასალები. ეს მასალები 2019-2020 სასწავლო წლიდან საპილოტეა და 2020 წლის გაზაფხულის სემესტრიდან გახდება ყველასთვის ხელმისაწვდომი. აღნიშნული გამოცდილება სასწავლო უნივერსტეტში ინერგება საერთაშორისო პროექტების (DARE, STAR, INTEGRITY) ფარგლებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 01 აგვისტოს № 31 დადგენილებით დამტკიცებული ,,მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. ○ მეთოდების კატალოგი. ○ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 03 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ○ ინდივიდუალური გეგმები ○ სტუდენტების ინტერვიუს შედეგები;

○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შეფასების სისტემა სასწავლო უნივერსიტეტში დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით და სასწავლო პროცესის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი ასპექტია. ემსახურება, როგორც სტუდენტის მიღწევების კონტროლს, ასევე სწავლის პროცესში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის უკუგების უზრუნველყოფას. შეფასება სწავლისა და სწავლების განუყოფელი ნაწილია და ემსახურება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის წარმატებით განხორციელებას. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემა სწავლის შედეგებისა და სტუდენტის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მექანიზმების ნაწილია და არ ემსახურება დაბალი აკადემიური მოსწრებისთვის სტუდენტის დასჯას. შეფასების

